პროლეტარებო ყველა ქვეყნისაკ, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 22 ოქტომბერი № 243 (17886) ფასი 2 კაპ.

გუშინ, 21 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის და სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა სათანადო დადგენილება მიიღო.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1980 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

კამათში მონაწილეობდნენ: ამხანაგები ბ. ა. აშიმოვი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, კ. ს. დემირჩიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ნ. სავინი — ვორონეჟის რადიოდეტალების ზეინკალ-ელექტრომექანიკოსთა ბრიგადირი, ს. თ. მედუნოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ტ. უ. უსუგალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ფილატოვი — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. ფიოდოროვი — სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობგაქიმიური მრეწველობის მინისტრი, ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაიყვანა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტ. ი. კისელიოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

1. მოწონებულ იქნეს ძირითადად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

რეკომენდაცია მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული პროექტები შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

2. მთლიანად და სავსებით იქნეს მოწონებული ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, საფუძვლად დაედოს ისინი ყველა პარტიული, საბჭოთა, ჰამეურნეო ორგანოს, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას 1981 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების უფრო სრული გამოყენებისათვის საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ქვეყნის ყველა მშრომელი ლენინური პარტიის XXVI ყრილობას შეხვდებიან ახალი შრომითი მიღწევებით, ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ 1981 წლის — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1980 წლის 21 ოქტომბერს

ამხანაგებო! დღეს ჩვენ უნდა განვიხილოთ 1981 წლის — პარტიის XXVI ყრილობის წლის, ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები. ეს გვავალებს ფართო პარტიული პოზიციებიდან მივუდგეთ განსახილველ საკითხებს.

გეგმის პროექტის ამოსავალი ბაზა, ცხადია, მეათე ხუთწლედის შედეგებია. განვლილმა წლებმა დაადასტურა პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგიის სისწორე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი. ახალი ნაბიჯი გადაიდგა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, დიდი და მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გზაზე. ერთი სიტყვით, ახლანდელი ხუთწლედი ღირსეულ ადგილს დიკავებს კომუნიზმის გზით მტკიცედ მიმავალი საბჭოთა ხალხის გმირულ საქმეთა ისტორიაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

როგორც იცით, ეკონომიკის დარგში პრაქტიკული მუშაობის ცენტრში პარტიამ დააყენა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. ხუთი წლის მანძილზე კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ეროვნული შემოსავლიდან გამოიყო 329 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. გაიზარდა მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების რეალური შემოსავალი. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარება და შეღავათები 134 მილიარდი მანეთით გაიზარდა. ამან გაფაართოვა საფუძველი იმისათვის, რომ განხორციელდეს საბჭოთა ადამიანების უფასო განათლების, სამედიცინო დახმარების, დასვენების, სიბერეში მატერიალური უზრუნველყოფის კონსტიტუციური უფლებები.

უმთავრესი ყურადღება დაეთმო საბინაო მშენებლობას, რომელსაც მოხმარდა დასახულზე 1,5 მილიარდი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდება. ხუთწლედში მოსახლეობა მიიღებს დაახლოებით ნახევარ მილიარდ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. ქალაქის მცხოვრებთა უკვე დაახლოებით 80 პროცენტს აქვს ცალკე ბინა.

ამ მიღწევებს საფუძვლად უდევს საერთო ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის საწარმოო ძალიერების განუხრელი, ყოველმხრივი გადიდება. გასულ ხუთწლედთან შედარებით გამოვა 717 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, 50 მილიარდი მანეთით მეტი — სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამ ხნის მანძილზე ეროვნული შემოსავალი 397 მილიარდი მანეთით გაიზრდება.

სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 635 მილიარდი მანეთი. მწყობრში ჩადგა ათას ორასზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო. მათ შორის არის სახალხო მეურნეობისათვის ძალზე დიდმნიშვნელოვანი ბევრი ობიექტი, რომლებიც შეესაბამება ყველაზე მაღალ მოთხოვნებს. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს დასავლეთ ციმბირის მშრომელებმა, მათ ხუთწლედის მანძილზე ერთიორად და მეტად გაზარდეს ნავთობის ამოღება, თითქმის ოთხ-ნახევარჯერ — ბუნებრივი გაზის მოპოვება.

დიდი ძვრა მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. მიმდინარე ხუთწლედში მარცვლეულის საშუალო წლიურმა მოსავალმა პირველად გადააჭარბა ორას მილიონ ტონას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ყაზახეთი, რომელმაც ხუთწლედის მანძილზე მეოთხედ მიჰყიდა სახელმწიფოს მილიარდ ფუთზე მეტი პური და გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. **(ტაში).** დიდ წარმატებებს მიაღწიეს კრასნოდარის მხარის, ორენბურგისა და კუსტანაის ოლქების მშრომელებმა, რომლებმაც ხუთწლედის მანძილზე თითო მილიარდი ფუთი და მეტი მარცვლეული ჩააბარეს სახელმწიფოს. მებამბეობის რესპუბლიკებმა შეასრულეს ბამბის მოსავლის ღების ხუთწლიანი გეგმა.

ყოველ ხუთწლედს თავისი გმირები ჰყავს. გამონაკლისი არც მიმდინარე ხუთწლედია. მალე ჩვენ შევაჯამებთ ხის საბოლოო შედეგებს. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, ცხადია, სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები მიენიჭებათ. მაგრამ დღეს უკვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ყველა საფუძველი აქვს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მოწინავე კოლექტივს, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, რომლებიც ასე გაისარჯნენ ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ სახალხო მეურნეობის განვითარებაში ყველაფერი რიგზე როდი გვქონდა. ჩვენ დაგვიძლევია და კვლავაც დავძლევთ დიდ სიძნელეებს. ამ სიძნელეთაგან ბევრი იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ხუთი წლიდან მხოლოდ 1976 და 1978 წლებს შეგვიძლია ვუწოდოთ შედარებით სასიკეთო სოფლის მეურნეობისათვის. დანარჩენი სამი წელი ძნელი გამოდგა. სირთულეები გამოიწვია მრავალი ძველი, მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის დიდი საბადოების ამოწურვამ, მომპოვებელი მრეწველობის ძირითადი ცენტრების აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში გადანაცვლებამ.

ზრდის ტემპის შემაფერხებელ ობიექტურ მიზეზებს დაემატა აგრეთვე მუშაობის ნაკლოვანებანი. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ: ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მართვისა და დაგეგმვის მექანიზმის, მეურნეობრიობის მეთოდებისა და საშემსრულებლო დისციპლინის აყვანა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ეს აფერხებდა ეფექტიანობის გადიდებას, სახალხო მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას. ეს არის აგრეთვე ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ვერ შესრულდა გეგმები მთელი რიგი პოზიციების მიხედვით, გვაქვს ნაკლოვანებანი და ვიწრო ადგილები სახალხო მეურნეობაში.

ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ქვეყანას 80-იანი წლების დამდეგს აქვს მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები. ჩვენ გულდაჯერებით შევყურებთ მერმისს. **(ხანგრძლივი ტაში).**

როგორც ამხანაგების ნ. კ. ბაიბაკოვისა და ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებები ცხადყოფს, 1981 წლის გეგმა და ბიუჯეტი უზრუნველყოფს მთელი ქვეყნისა და თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ ზრდას. დიდი სახსრები მოხმარდება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტის განვითარებას. დასახულია კაპიტალურ მშენებლობაში რესურსების კონცენტრაციის ღონისძიებანი. დაჩქარდა მრეწველობის იმ დარგების ზრდის ტემპი, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ. გათვალისწინებულია ახალი სოციალური ღონისძიებანი.

ბუნებრივია, რომ ამ დოკუმენტებმა ასახა სახალხო მეურნეობაში არსებული პრობლემები და ვიწრო ადგილები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ, კერძოდ, აღნიშნა მთელ რიგ დავალებათა დიდი დაძაბულობა, გეგმის შეუსაბამობა ზოგიერთი სახეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, ტვირთზიდვის მიხედვით. ამიტომ გეგმის დავალებანი უნდა განმტკიცდეს ზუსტი ორგანიზატორული საქმიანობით, მაღალი დისციპლინით, მკაცრი კონტროლით.

გეგმისა და ბიუჯეტის მთლიანად შეფასებისას, უნდა ითქვას, რომ ისინი მოქცეულია ჩვენი საერთო ეკონომიკური პოლიტიკის კალაპოტში. ისინი განაგრძობენ პარტიის კურსს, რომლის მიზანია ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, მატერიალური წარმოების განვითარება და მისი ეფექტიანობის გაუმჯობესება, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, სოციალიზმის მოძმე ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცება. ერთი სიტყვით, სახალხო მეურნეობის განვითარებას კარგი ბაზა ექნება. **(ტაში).**

ყოველივე ამან პოლიტბიუროს საშუალება მისცა ძირითადად მოეწონებინა 1981 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები და გამოეტანა ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად.

ახლა მინდა შევეხო ზოგიერთ უფრო ზოგად საკითხს, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ როგორც მომავალი წლის სამეურნეო საქმიანობასთან, ისე ეკონომიკის განვითარებასთან მეთერთმეტე ხუთწლედში. მათი აღძრა მით უფრო მიზანშეწონილია, რომ 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა მზადების ყველაზე პასუხსაგები ეტაპი დაუდგა.

ამ საკითხზე საუბარი მინდა დავიწყო არა ლითონით, არა ტრანსპორტით, ასე განსაჯეთ, არც სათბობითა და ენერგიით — მათი უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, — არამედ იმ საკითხებით, რომელთა გადაწყვეტაზე უშუალოდ არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობები. ვგონებ, სწორედ ეს არის ყველაზე პარტიული მიდგომა, როცა ქვაკუთხედად იქცევა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. კაცმა რომ თქვას, მკაცრი ეკონომიკური თვალსაზრისითაც კი სწორედ საბოლოო მიზანი უნდა ავიღოთ ორიენტირად, რათა უზრუნველყოთ მისი მიღწევა.

იმ საკითხთა შორის, რომლებზეც დამოკიდებულია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე, პირველ ადგილზეა სურსათთა მომარაგების გაუმჯობესება.

ვახორციელებდით რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გეზს, ჩვენ საძირკველი ჩავუყარეთ ისეთ თანამედროვე სოფლის მეურნეობას, როგორიც გვინდა, შეგვიძლია და უნდა გვქონდეს, რათა მთლიანად დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებანი. უდიდესი მუშაობაა გაწეული. ქვეყანა აწარმოებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაცილებით მეტ პროდუქციას. იზრდება ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების დონე. მაგრამ ჯერ კიდევ ვაწყდებით სიძნელეებს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების უზრუნველყოფაში ისეთი სასურსათო პროდუქტებით, როგორიც არის ხორცი და რძე.

ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია კვლავაც გამოვუყოთ სოფლის მეურნეობას დიდი კაპიტალდაბანდებანი და მატერიალური რესურსები. ამავე დროს მკვეთრად უნდა გავზარდოთ მომთხოვნელობა იმისადმი, რომ გამოყოფილ სახსრებს, მინერალურ სასუქებს, ტექნიკას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყენებდნენ გონივრულად, უაირათიანად, აღწევდნენ მათს მაქსიმალურ უკუგებას.

ქვეყნის ათასობით კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა წლითიწლობით აღწევს კარგ მოსავალსა და მეცხოველეობის დიდ პროდუქტიულობას. მაგრამ არის არცთუ ისე ცოტა მეურნეობაც, მთელი ოლქებიც კი, სადაც კაპიტალ-დაბანდებანი იზრდება, პროდუქციის წარმოებას კი მთელი რიგი წლების მანძილზე საშველი არ ადგება. კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები ღრმად უნდა ჩასწვდნენ ასეთი ვითარების მიზეზებს, განახორციელონ ღონისძიებანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

განუხრელად უნდა ვნერგოთ მოწინავე გამოცდილება, ვაუმჯობესოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა და წარმოების ორგანიზაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება, მუშაობაში ინიციატივის განვითარება, წვრილმანი მეურვეობის, ადმინისტრირების დაუშვებლობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მიმართ.

სოფლის მეურნეობის შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენება უშუალოდ არის დაკავშირებული სოფლის სოციალური პრობლემების გადაჭრასთან. აქ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტია. ბევრ რაიონში არ ჰყოფნით კეთილმოწყობილი საცხოვრებელი, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის დაწესებულებანი, კარგი გზები. ეს სიძნელეებს ქმნის სტაბილური შრომითი კოლექტივების ჩამოყალიბებისას, და ამით უფრო დიდ დანაკარგებს იწვევს. სოფლის გარდაქმნის პრობლემები ენერგიულად და საფუძვლიანად უნდა გადაეჭრათ, და საამისოდ გამოვძებნოთ საჭირო რესურსები როგორც საერთო-სახელმწიფო მასშტაბით, ისე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

ამხანაგებო! ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო პროგრამის მომზადების თაობაზე. საქმე ეხება პროგრამას, რომელიც მოწოდებულია გააერთიანოს სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე მრეწველობის დარგების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების განვითარების საკითხები, კვების ინდუსტრიისა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის განვითარების საკითხები. როგორც უკვე ითქვა, ეს აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსი უნდა დავგეგმოთ, დაფინანსოთ და ვმართოთ როგორც ერთი მთლიანი, თან უზრუნველვყოთ მაღალი საბოლოო შედეგი. სასურსათო პროგრამა უნდა მოვამზადოთ ისე, რომ იგი ორგანულად შეერწყას მეთერთმეტე ხუთწლიან გეგმას.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება მოითხოვს აგრეთვე სეზონურ ძვრებს სახალხო მოხმარების წარმოებაში. ძვრებს, რომლებიც გავლენას მოახდენს ამ საქონლის როგორც რაოდენობაზე, ისე ხარისხსა და ასორტიმენტზე. ეს საჭიროა ეკონომიკის განვითარებისათვის, შრომის სტიმულირების გაძლიერებისა და ფულადი მამოქცევის განმტკიცებისათვის. ეროვნ სიტყვით, გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ბ“ ჯგუფის დარგების სწრაფი აღმაღლობა უპირველესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა.

ამ დარგში უკვე მივაღწიეთ ბევრ რამეს. მარტო მიმდინარე ხუთწლედში „ბ“ ჯგუფის დარგების პროდუქცია გაიზრდება 40 მილიარდი მანეთით. მაგრამ ჯერ კიდევ დაბალია ბევრი ნაწარმის

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

21 ოქტომბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ პრეზიდიუმის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის შედეგებს, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას. ამ გამოსვლაში ყოველმომცველად არის განზოგადებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები, წამოყენებულია ამოცანები, რომლებიც მოითხოვენ პარტიისა და ხალხის მეცადინეობის მაქსიმალურ კონცენტრაციას, მოცემულია სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის საყოველთაოსახალხო ბრძოლის შთამბეჭდავი პანორამა.

სხდომაზე გამოითქვა რწმენა, რომ ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოები განუხრელად ხელმძღვანელობენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული პროგრამის, საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებაში, სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების დარგში უდიდესი ძრის მიღწევაში, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის ჩატარებასთან.

განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ. ამ საკითხის გამო სხდომაზე გამოვიდა ვ. ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეების გ. ი. ვაშჩენკოსა და ნ. ი. მასლენიკოვის ინფორმაციების მიხედვით განიხილეს საკითხი, რომ მუდმივმა კომისიებმა მუშაობა დაამთავრეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი



ამხ. მ. ს. გორბაჩოვი დაიბადა 1931 წელს. სკკპ წევრია 1952 წლიდან. დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1946 წელს კომბაინერის თანაშემწედ. 1955 წლიდან კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა. იგი მუშაობდა სრულიად საკავშირო ალკა სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილედ, მეორე, პირველ მდივნად, კოლმეურნეობებისა და სახელოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად. 1968 წლიდან სკკპ სამხარეო კომიტეტის განყოფილების გამგეა, პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი. 1970 წლიდან მუშაობდა სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად. 1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

იგი არის სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული).

ხარისხი. ზოგჯერ გვექმნება ხოლმე შეფერხებები მასობრივი მოთხოვნის ხან ერთი, ხან მეორე საქონლით წამოებაში. და ეს უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია ნაკლოვანებებით მსუბუქი მრეწველობის მუშაობაში.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, ცალკეული ნაწილობრივი გადაწყვეტილებებით საქმის ვითარება ვერ გამოსწორდება „ბ“ ჯგუფში. უნდა განვავითაროთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება ქარგად მოფიქრებული, ხანგრძლივი პროგრამის საფუძველზე, რომელსაც შეეძლება გაერთიანოს ყველა დარგის მეცადინეობა, რომლებზეც კი ეს არის დამოკიდებული. მოსახლეობისათვის საჭმელის წარმოებისა და მომსახურების გადიდებაზე მეტად უნდა იზრუნონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა. უნდა გავაუმჯობესოთ ამ დარგების დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემა, ისე წარვმართოთ საქმე, რომ ეს დარგები მკაცრად იყოს დამოკიდებული ვაჭრობაზე, მომხმარებელზე.

მინდა მივმართო აგრეთვე მძიმე და თავდაცვითი მრეწველობის მთელი რიგი დარგების ხელმძღვანელებს. მათი მეცადინეობით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბევრი საქონლის, მათ შორის ტელევიზორების, მაცივრების, სარეცხი მანქანების წარმოება არსებითად გაიზარდა. მაგრამ ვერ დავუშვებთ, რომ ამ ზრდის ტემპი შემდეგ ხუთწლედში შენელდეს. დარწმუნებული ვართ, რომ ამ დარგების ხელმძღვანელები კვლავაც მიიჩნევენ ფართო მოხმარების საქონლის წარმოებას დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო და პარტიულ საქმედ. **(ტაში).**

დიდი სოციალურ-ეკონომიკური საკითხია, თქვა შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, საბინაო მშენებლობა. საჭიროდ ვცანით შევინარჩუნოთ მისი ახლანდელი მასშტაბი მეთერთმეტე ხუთწლედის ყველა მომდევნო წლისათვის, ამასთანავე გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარისხი.

საბინაო მშენებლობა უფრო მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ საწარმოო ამოცანების გადაწყვეტას. ცომბირისა და შორეული აღმოსავლეთის ახალი რაიონების თვისების ტემპს, არაშავმოწანიადგილანი ზონის განვითარებას, მოქმედი საწარმოების მუშაობის ცვლიანობის ამაღლებას ბევრად განსაზღვრავს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების არსებობა. ახლანან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მკაცრად გაიფრთხილა მინისტრები, რომლებმაც დაუშვეს სამრეწველო ობიექტების მშენებლობისაგან საცხოვრებელი სახლების აგების სერიოზული ჩამორჩენა.

საბინაო მშენებლობა სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს, უნდა ექვემდებარებოდეს პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მკაცრ კონტროლს. ვფიქროპ, პლენუმი დაეთანხმება იმას, რომ ეს მუშაობა მივიჩნიოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო დავალებად. **(ხანგრძლივი ტაში).**

შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს ისეთი სოციალური საკითხებიც, როგორიც არის შრომის პირობების გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა.

ახალ ხუთწლედში უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული ღონისძიებანი ყველა ამ მიმართულებით. ეს, ამხანაგებო, უშუალოდ გამომდინარეობს იმ ეკონომიკური სტრატეგიიდან, რომელიც უკანასკნელ პარტიულ ყრილობებზე შევიმუშავეთ, სტრატეგიიდან, რომელიც ითვალისწინებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ ეკონომიკის უფრო ღრმა შებრუნებას.

ადამიანისადმი ყურადღებიანი, მზრუნველი დამოკიდებულებით უნდა იყოს გამსჭვალული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების და, რა თქმა უნდა, პროფკავშირების მუშაობის მთელი სტილი. ასეთი დამოკიდებულება თითოეული ხელმძღვანელის — დიდი იქნება თუ პატარა — მუშაობის განუყოფელი ნიშანი უნდა გახდეს. ჩვენს საბჭოთა ცხოვრების წესში არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს ბიუროკრატიზმი, გულქვაობა, ყოყოჩობა. ვფიქრობ, რომ ყველა ეს საკითხი საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებებისა და კონფერენციების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. **(ტაში).**

ამხანაგებო! ყველა ჩვენგანისათვის, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია, თუ არ ამაღლდა ეკონომიკის ეფექტიანობა, არ მოხდა მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია. და ძირითადმა მიმართულებებმა უნდა უზრუნველყოს მომდევნო ხუთწლედში ამ გზით არსებითი წინსვლა.

ეკონომიკის ეფექტიანობა განუყოფელად არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან. აქ შევეხებიო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ, მაგრამ ერთ საკითხს. წარმოებასთან მეცნიერების შეხამება, მასზე პროგრესული იდეების ზემოქმედება პრაქტიკულად ხდება მანქანებისა და ტექნოლოგიის ძეგვეებით. სწორედ აქედან გამომდინარეობს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში მანქანათმშენებლობის როლი, რომელიც ვერაფერს ვერ შეედრება.

მთელი რიგი პოზიციების მიხედვით ჩვენი მანქანათმშენებლები გავიდნენ დონეზე, რომელიც საუკეთესო მსოფლიო მიღწევებს შეესაბამება. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ მანქანათმშენებლობის ზოგიერთ დარგში საქმის ვითარება არცთუ დამაკმაყოფილებელია. უჩივიან სატრანსპორტო, საგზაო და სამშენებლო მანქანათმშენებლობის ბევრი სახეობის პროდუქციის, ნავთობისა და გაზის და განსაკუთრებით მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანებისა და მოწყობილობების ნაკლოებობისა და ხარისხს.

კვლავ ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა— დარგი, რომელმაც ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ყველაზე სერიოზულ საყვედურს იმსახურებს ბევრი მანქანის როგორც ტექნიკური დონე, ისე ხარისხი. შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები და გააკრიტიკა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მუშაობა.

ახალ ხუთწლედში აუცილებელია, ხაზგასმით აღინშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, შეგქმნათ და დავიწყოთ ისეთი სათოხნი ტრაქტორისა და ისეთი სამარცვლე კომბაინის გამოშვება, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით დაკმაყოფილებენ უმაღლეს თანამედროვე მოთხოვნებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გადავდგათ დიდი ნაბიჯი წინ სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების გზაზე.

ანიშვნეს რა უდიდეს მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მიიღო ზომები დარგის ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად. ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განყოფილება.

მანქანათმშენებლობის აღმავლობას, ამხანაგებო, მომავალ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ. არსებითად, ჩვენ წინაშე სულ უფრო მწვავედ დადგება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს ძირითადი ფონდებისა და ტექნიკური განახლების ამოცანები.

ეს უნდა დავუსახოთ მიზნად ჩვენს ყველაზე ძლიერ სამეცნიერო კოლექტივებს. მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მხედველობაში მყავს მეცნიერები და კონსტრუქტორები, რომლებიც თავდაცვითს დარგებში მუშაობენ. ვფიქრობ, რომ მათი წვლილი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში შეიძლება უფრო ფართო და მრავალმხრივი იყოს. მინისტრთა საბჭოს უნდა დაევალოს სპეციალისტებთან ერთად განსაზღვროს, თავდაცვითი მრეწველობის სახელდობრ რომელი სამეცნიერო და საკონსტრუქტორო კოლექტივები შეძლებენ დაეხმარონ ამა თუ იმ სახეობის სამოქალაქო მანქანათმშენებლობას, დაეხმარონ მაღალეფექტიანი და ხარისხიანი ნიმუშის მანქანების შემუშავებაში, კონკრეტული პროგრამებისა და დავალებების შედგენაში.

შემდეგი საკითხი. ალბათ არ არის საჭირო იმის თქმა, თუ რამდენად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა სათბობისა და ენერგიით შეუფერხებელ მომარაგებაზე.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შემდეგ შეეხო ზოგიერთ მიმდინარე ამოცანას, რომლებიც სათბობი მრეწველობის დარგებისა და ტრანსპორტის წინაშე დგას. მომავალ ზამთრის პერიოდთან დაკავშირებულ საკითხებს რომ ეწყვეტთ, თქვა შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, ამავე დროს, სწორედ ახლა, ხუთწლედის მზადებისას სერიოზულად უნდა ვიზრუნოთ მომავლისათვის. კაოდევ უფრო უნდა განვავითაროთ ატომური ენერგეტიკა. არ უნდა მოვაკლოთ ყურადღება მუშობას ენერგიის ისეთ პერსპექტიულ სახეობათა დარგში, როგორიც არის თერმობირთვული ენერგია.

განსაკუთრებული როლი ენიჭება ბუნებრივი გაზის მოპოვების სწრაფ ზრდას. მისი მარაგი უზარმაზარია, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთ ციმბირში. ეს მარაგი საშუალებას მოგვცემს გავადვილოთ სათბობ-ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრა, დავაჩქაროთ ქიმიისა და მთელი რიგი სხვა დარგების განვითარება. გაზის მიწოდების გადიდება ხელს შეუწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საჭიროებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

სწორედ ამიტომ პლენუმზე წამოყენებულია წინადადება შევიმუშაოთ დასავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის მრეწველობის დაჩქარებული განვითარების დიდმასშტაბიანი პროგრამა. პოლიტბიუროომ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ამოცანაა ეს პროგრამა გახადოს მეთერთმეტე და, აგრეთვე, მეთორმეტე ხუთწლედების უმნიშვნელოვანესი რგოლი.

ამავე დროს ჩვენი გეგმებით უნდა გავითვალისწინოთ სათბობისა და ენერგიის ფართო ეკონომია. მე მხედველობაში მაქვს როგორც უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლით მიღწეული ეკონომია, ისე მიზანმიმართულ ტექნიკურ პოლიტიკასა და კაპიტალდაბანდებების პოლიტიკასთან დაკავშირებული ეკონომია.

დიდი სახალხო-სამეურნეო საკითხებიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქიმია. აქ ძალზე დიდი ძვრები მოხდა. და მიუხედავად ამისა, ქიმია ჩამორჩება ეკონომიკის მოთხოვნილებებს. უნდა გავაძლიეროთ მისი როლი სოფლის მეურნეობისა და „ბ“ ჯგუფის დარგების განვითარებაში, ლითონების დეფიციტის აღმოფხვრაში, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. გეგმებით საჭიროა გავითვალისწინოთ პლასტმასების, სინთეზური ბოჭკოების, საღებრების, საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს, თქვა შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა, ქიმიურ მრეწველობაში შიდადარგობრივი დისპროპორციების დაძლევა. მან აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა წარმოების ნედლეულის გადიდება ამ მიზნით, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ სასუქების წარმოების სიმძლავრეები, გავზარდოთ სოფლის მეურნეობისათვის მათი მიწოდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოებას.

ძირითადი მიმართულებებით, თქვა შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, უნდა გავითვალისწინოთ იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც დაგვაძლევინებს ჩამორჩენას ქიმიაში. მან აღნიშნა, რომ საქმე უნდა ეხებოდეს სწორედ ღონისძიებათა, ამასთან მტკიცე ღონისძიებათა კომპლექსს. თანამედროვე დიდი ქიმია რომ არა, დღეს წარმოუდგენელია ეფექტიანი ეკონომიკა.

არის სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი სხვა მიმართულებაც, რომლებიც უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. მათ შორის არის, უდავოდ, კაპიტალური მშენებლობა, მეტალურგია, ტრანსპორტი, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა. ვინაიდან ბევრ აქ წამოჭრილ ამოცანას უკვე არაერთხელ შევეხეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, დღეს მათ ალარ შევეხებით. საქმე ის არის, რომ გამოვნახოთ ამ ამოცანათა გადაწყვეტის საიმედო გზები ახალ ხუთწლიან გეგმაში, დაწყებული უკვე 1981 წლის გეგმით.

მართვის დიდი აქტუალური თემიდან შევეხები მარტო ორ საკითხს.

ერთ-ერთი მათგანია დაგეგმვა. ამ საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მიზნობრივი პროგრამების მეთოდი. ყოველი ასეთი პროგრამა უნდა იყოს დასაბუთებული, ზუსტ გაანგარიშებებზე დამყარებული იმ ღონისძიებათა გეგმა, რომელთა მიზანია საბოლოო შედეგის მიღწევა, ამა თუ იმ პრობლემის სრულად გადაჭრა. საჭიროა, რომ პროგრამაში განისაზღვროს გადასაწყვეტ ამოცანათა ეტაპები და რიგითობა. და, რასაკვირველია, უნდა გვქონდეს პროგრამის მართვის სისტემა, რომელიც ზუსტად აღგენს მუშაობის ყოველი უბნის პირად პასუხისმგებლობას და იძლევა საჭირო უფლებებს. უამისოდ ეს პროგრამა კი არა, მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილები იქნება.

მეორე საკითხი ცენტრალიზმისა და დემოკრატიული საწყისის სწორი თანაფარდობა. სსრ კავშირის კონსტიტუციაში სრულიად სამართლიანად არის ხაზგასმული, რომ ქვეყნის ეკონომიკა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსია. იგი ფუნქციონირებს დარგთშორისი და ტერიტორიულ-საწარმოო ურთიერთობის რთული სისტემის საფუძველზე. და, ცხადია, მხოლოდ ცენტრს შეუძლია ეფექტიანად და ერთიანად უხელმძღვანელოს ამ კომპლექსს, წინააღუდგეს უწყებრივ და კუთხურ ტენდენციებს. მეორე მხრივ, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ ადგილების, შრომითი კოლექტივების, სამეურნეო ხელმძღვანელების ინიციატივა. საჭიროა ძირითადი ოპერატიული საკითხები წყდებოდეს იქ, სადაც ისინი შეიძლება გადაწყდეს სწრაფად, ყოველგვარი გაჯანჯლებისა და შესათანხმებლად სირბილის გარეშე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამზადებს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის წინადადებებს. ეს მუშაობა უნდა დავამთავროთ ყრილობამდე, რათა ახალ ხუთწლედში აღარ გაგვყვეს მოძველებული სტრუქტურები.

მართვის ბევრ სხვა საკითხზე უკვე მიღებულია შესაბამისი დადგენილებები. მათ შორის არის დიდმნიშვნელოვანი დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ. ახლა საქმე ის არის, რომ თანამიმდევრულად და მტკიცედ განვახორციელოთ ისინი. და, რასაკვირველია, ბევრია ისეთი საკითხი, სადაც შეიძლება და კიდეც უნდა ვიმოქმედოთ და არ ველოდოთ საგანგებო დადგენილებებს.

ამხანაგებო! დასასრულ მინდა ვთქვა: წინ დიდი სამუშაო გვაქვს. ოთხმოციან წლებში უნდა დავამთავროთ ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების რელსებზე, უნდა ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და ხარისხი. საწარმოო წარმატებების უცილობელ პირობად რჩება სამეურნეო მუშაობის დონის ამაღლება, კადრებისათვის გერგილიანობის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ინიციატივის ჩანერგვა.

მალე საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის ძირითადი მიმართულებანი“. ეს დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი გახდება საოლქო და სამხარეო კონფერენციების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობების, ყველა პარტიული ორგანიზაციის აქტიური განხილვის საგანი. ამ განხილვას უნდა მივანიჭოთ მიზანმიმართული ხასიათი, ისე ვქნათ, რომ მან ხელი შეუწყოს მთელი ეკონომიკური საქმიანობის აღმავლობას.

ახლა ქვეყანაში საყოველთაოდ ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. საწარმოო კოლექტივები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე ვალდებულებას კისრულობენ აამაღლონ ხარისხი, გააძლიერონ მომპირნეობის რეჟიმი, განამტკიცონ შრომის დისციპლინა, კარგად დაიწყონ მეთერთმეტე ხუთწლედი.

პარტიულ ორგანიზაციებში გაშლილია ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. ეს ყოველთვის პასუხსაგები ხანაა პარტიის ცხოვრებაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია საყრილობო პერიოდში. კრებებსა და კონფერენციებზე აქტიურად, მწვავედ და თვითკრიტიკულად განიხილავენ პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის ყველა მხარეს, ააშკარავებენ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, მხარს უჭერენ ყოველივე დადებითს. მეტად ყურადსაღებია კომუნისტების კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები ძალზე სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც დაუყოვნებლივ იღებენ მათ მიხედვით კონკრეტულ ზომებს. ეს კარგია, ეს ამაღლებს კრებების ქმედითობას, კრიტიკის ქმედითობას.

პარტიული კომიტეტების ანგარიში კომუნისტების წინაშე არსებითად არის მათი ანგარიში მშრომელთა წინაშე, მთელი ხალხის წინაშე. საჯაროობა და პარტიის საქმიანობის შესახებ მასების ინფორმირება ჩვენთვის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარე მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია სისტემატურად უნდა აშუქებდნენ ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მიმდინარეობას, ღრმად განმარტავდნენ მის შინაარსს. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პროპაგანდის ორგანოებმა გაუმჯობესეს მუშაობა, ისინი აყენებენ მთელ რიგ მწვავე საკითხებს, რომელთა მიხედვით მიიღებენ სერიოზულ პარტიულ გადაწყვეტილებებს — და ეს მხოლოდ მისასალმებელია. ამასთანავე უნდა ვხედავდეთ, რომ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სრული რეალიზაციისათვის კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ამხანაგებო! პარტია თავის ყრილობას ეგებება ხალხთან მჭიდრო კავშირით, ეგებება საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში მოქმედების მკაფიო პროგრამით. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი იწონებენ ამ პროგრამას, შეუპოვრად და თანამიმდევრულად განახორციელებენ მას. **(ტაში).** ეს არის მორიგ ამოცანათა წარმატებული გადაწყვეტის საწინდარი, კომუნისტური მშენებლობის გზით ახალი წინსვლის საწინდარი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲖᲔ

სსრ კავშირის მრეწველობის სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1980 წლის ცხრა თვის საახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და ემზადებიან მაღალი შრომითი შედეგებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავი, უზრუნველყვეს წარმოების შემდგომი განვითარება. პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმა შესრულებულია. სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 3,9 პროცენტი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2,9 პროცენტით; ამ გზით მიღებულია წარმოების მატების სამ მეოთხედზე მეტი. გადიდდა მოგება.

ცალკეული სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმის შესრულებას, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები	პროდუქციის მოცულობის ცხრა თვის გეგმის შესრულების პროცენტი	1980 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1979 წლის ცხრა თვესთან შედარებით	
		წარმ. მოც.	შრომ. ნაყ.
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	101	105	102
ნავთობის მრეწველობის	100,8	103	102
ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	99,2	105	104
გაზის მრეწველობის	102	107	105
ქვანახშირის მრეწველობის	99	99,6	98
შავი მეტალურგიის	98	100,8	100,1
ფერადი მეტალურგიის	100,5	100,8	99,7
ქიმიური მრეწველობის	98	106	104
ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის	100,3	102	100,5
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	100,2	103	102
ელექტროტექნიკური მრეწველობის	100,5	105	104
ქიმიური და ნავთობქიმიური მანქანათმშენებლობის	102	105	105
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის	99,8	106	105
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების	102	108	107
საავტომობილო მრეწველობის	101	106	105
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	101	104	104
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის	100,9	105	103
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	102	103	103
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის	101	105	105
ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის	99,5	103	104
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის	99	103	101
საშენ მასალათა მრეწველობის	99	101	102
მსუბუქი მრეწველობის	100,1	104	104
კვების მრეწველობის	102	102	102
ხორცისა და რძის მრეწველობის	100,8	97	97
თევზის მეურნეობის	107	103	104
დამზადების	102	105	103
სამედიცინო მრეწველობის	100,5	109	107
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	102	105	102

მოკავშირე რესპუბლიკები (მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა)	პროდუქციის მოცულობის ცხრა თვის გეგმის შესრულების პროცენტი	1980 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1979 წლის ცხრა თვესთან შედარებით	
		წარმ. მოც.	შრომ. ნაყ.
რუსეთის სფსრ	100,8	103,3	102,9
უკრაინის სსრ	100,8	102,6	101,6
ბელორუსიის სსრ	102	106,7	104,7
უზბეკეთის სსრ	102	107,2	104,2
ყაზახეთის სსრ	101	103,0	101,1
საქართველოს სსრ	102	107,3	105,4
აზერბაიჯანის სსრ	102	107,7	106,0
ლიტვის სსრ	102	104,8	103,7
მოლდავეთის სსრ	101	109,1	106,2
ლატვიის სსრ	102	105,4	105,5
ყირგიზეთის სსრ	100,9	105,6	104,1
ტაჯიკეთის სსრ	102	106,6	103,9
სომხეთის სსრ	102	107,6	103,6
თურქმენეთის სსრ	102	107,4	104,9
ესტონეთის სსრ	102	105,7	105,0

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:	წარმოებულია 1980 წლის ცხრა თვეში	1980 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1979 წლის ცხრა თვესთან შედარებით
ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატსაათი	948	105
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით) — მილიონი ტონა	450	103
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	321	107
ქვანახშირი —მილიონი ტონა	536	99,3
ფოლადი — მილიონი ტონა	112	100,2
შავი ლითონების ნაგლინი (მზა) — მილიონი ტონა	77,8	100,5
ფოლადის მილების — მილიონი ტონა	13,7	101
რკინის მადანი — მილიონი ტონა	183	101
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით) — მილიონი ტონა	78,8	111
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეულებით) — ათასი ტონა	359	99,1
გოგირდმჟავა — მილიონი ტონა	17,0	103
კაუსტიკური სოდა—მილიონი ტონა	2,1	104
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — მილიონი ტონა	2,7	106
ქიმიური ბოჭკოები და ძაფი — ათასი ტონა	881	106
ავტოსაბურავები — მილიონი ცალი	45,2	101
ტურბინები — მილიონი კილოვატი	15,0	104
ტურბინების გენერატორები — მილიონი კილოვატი	12,1	92
ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	38,8	102
ლითონსაჭრელი ჩარხები — მილიონი მანეთისა	1462	106
მათ შორის რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხები — ათასი ცალი	6,6	112
სამჭედლო-საწნეხი მანქანები — მილიონი მანეთისა	428	104
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიარდი მანეთისა	4,0	111
გამომთვლელი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	3,3	115
ნავთობაპარატურა — მილიონი მანეთისა	159	108
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	554	100,1
ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის — მილიონი მანეთისა	997	104
სამაგისტრალო თბომავლები — მილიონი ცხენის ძალა	2,9	106
სამაგისტრალო ელმავლები — მილიონი ცხენის ძალა	2,6	102
სატვირთო სამაგისტრალო ვაგონები — ათასი ცალი	47,0	96
ავტომობილები — ათასი ცალი	1645	102
მათ შორის:		
სატვირთო	590	102
მსუბუქი	992	101
ტრაქტორები — ათასი ცალი	414	101
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — მილიარდი მანეთისა	2,0	103
მანქანები მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის — მილიარდი მანეთისა	1,6	103
მარცვლეულის ასაღები კომბაინები — ათასი ცალი	87,7	104
ბამბის ასაღები მანქანები — ათასი ცალი	6,9	102
ექსკავატორები — ათასი ცალი	31,5	100,6
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა) — მილიონი ფესტმეტრი	211	104
ქაღალდი — მილიონი ტონა	4,0	100,9
ცემენტი — მილიონი ტონა	94,1	103
ასაწყობი რკინა-ბეტონი — მილიონი კუბური მეტრი ნაწარმი	91	101
შიფერი —მილიარდი პირობითი ფილა	5,5	102
ყველა სახეობის ქსოვილი — მილიარდი კვადრატული მეტრი	8,0	100,9
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთისა	16,7	104
ტრიკოტაჟის საცვლები და ზედა ტრიკოტაჟი — მილიარდი ცალი	1,2	102
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	549	100,7
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) — მილიონი ტონა	6,6	95
ძეხვეული — მილიონი ტონა	2,3	99,1
სასურსათო თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვი — მილიარდი მანეთისა	3,8	102
ერბო-კარაქი — მილიონი ტონა	1,1	96
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადანაგარიშებით — მილიონი ტონა	19,1	101
მარგარინის პროდუქცია — ათასი ტონა	926	101
მცენარეული ზეთი — მილიონი ტონა	1,8	99,7
საკონდიტრო ნაწარმი — მილიონი ტონა	2,8	102
კონსერვი—მილიარდი პირობითი ქილა	11,6	94
კომბინირებული საკვები—მილიონი ტონა	48	109
საათი — მილიონი ცალი	49,5	103
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი — მილიონი მანეთისა	556	107
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლის) — მილიონი მანეთისა	714	110
რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი	6,4	102
ტელევიზორები — მილიონი ცალი	5,6	103
მათ შორის ფერადი ტელევიზორები	1,7	124
მაცივრები — მილიონი ცალი	4,4	98
სარეცხი მანქანები — მილიონი ცალი	2,9	105
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	810	100,7
ავეჯი — მილიარდი მანეთისა	4,5	106

გადაჭარბებით შესრულდა გაზის მოპოვების, ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და გამომთვლელი ტექნიკის, ნავთობაპარატურის, ქიმიური მოწყობილობის, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის განკუთვნილი მანქანების, შეკერილი ნაწარმის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლისა და სხვა სახეობათა პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა.

ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, თვითღირებულების შემცირების, დაგროვების დავალებანი. ვერ შესრულდა ფოლადის გამოდნობის, შავი ლითონების მზა ნაგლინის, მინერალური ს

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

20 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს ბაბრაქ ქარმალს.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე გულითადად მიესალმა სტუმარს და მისი სახით გმირ ავღანელ ხალხს, რომელიც წარმატებით აღრმავებს აპრილის რევოლუციის მონაპოვართა, აშენებს ახალ ცხოვრებას.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, თუ რა დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრამ ბ. ქარმალთან, და თქვა, რომ იგი კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების გზაზე, ცხადყოფს ორივე ქვეყნის მისწრაფებას რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისადმი.

— ყველა კეთილი ნების ადამიანი, მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა, — თქვა ე. ა. შევარდნაძემ, — გულწრფელად მიესალმებიან საბჭოთა კავშირში თქვენი ვიზიტის შედეგებს.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სოლიდარობას უცხადებენ ავღანელი ხალხისა და მისი ავანგარდის — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ბრძოლას, და მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ავღანეთის რევოლუციის მტრების ზრახვები, მისი ხასიათის შეცვლის ცდები განწირულია ჩასაფუშავად.

შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ სტუმარს გააცნო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეული წარმატებები ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. მან ილაპარაკა მიღწევებზე, რომლებითაც საბჭოთა საქართველოს მშრომელები ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

— დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაგვიწია აპრილის რევოლუციის საქმის დაცვაში, უცხოთის ინტერვენციის წინააღმდეგ, — თქვა ბ. ქარმალმა, — ჩემი ქვეყნის ხალხი მიიჩნევს საბჭოთა ხალხის ნების გამოხატულებად, ხალხისა, რომელიც ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას აზორციელებს. საბჭოთა კავშირს უნდა გუმადლოდეთ, რომ შინაურმა და გარეშე რეაქციამ ვერ შეძლო სისხლში ჩაახშო ჩვენი აპრილის რევოლუცია.

ბაბრაქ ქარმალმა აღნიშნა, რომ ავღანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს, როცა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ვ. ი. ლენინმა მტკიცედ გაიღაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ იმპერიალისტები თავს დასხმოდნენ ავღანეთის ახალგაზრდა სახელმწიფოს.

ჩვენმა მეგობრობამ, თქვა შემდეგ ბ. ქარმალმა, ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ცხოველუნარიანობა აპრილის რევოლუციის დღეებში. ავღანელი ხალხი მუდამ მადლიერი იქნება ყველა საბჭოთა ხალხისა ნამდვილად ძმური და ყოველმხრივი დახმარებისათვის.

საბჭოთა კავშირის შეზღუდული სამხედრო კონტინგენტი, განაგრძო ბაბრაქ ქარმალმა, ეხმარება ავღანელ ხალხს იბრძოლოს აპრილის რევოლუციის მტრების ხრიკების, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. საბჭოთა კავშირის ძმური ინტერნაციონალური დახმარება რომ არა, არ იქნებოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ავღანეთი.

ბაბრაქ ქარმალმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა კავშირს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმ შესაძლებლობისათვის, რომ ჩამოსულიყო საქართველოში, გასცნობოდა ქართველი ხალხის წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, ენახა მისი ძველი კულტურის შესანიშნავი ძეგლები.

ამხანაგმა ბ. ქარმალმა გულთბილი მადლობა გადაუხადა საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს გულითადი, ძმური მასპინძლობისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ ქვეყანაში მოგზაურობის დროს საპატიო სტუმრის თანმხლებნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მრადგილე ჰ. ი. სტრაუტმანისი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში ფ. ა. ტაბეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. კ. ბოლდირევი.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საბჭოთა მხრივ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. ინაური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი, დამსწრეთა შორის იყვნენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ო. შ. ქაჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე მოადგილე ზ. გ. შომიტაიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწეები ვ. ტ. ალფენიძე, ლ. ა. პირადოვი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჰ. ა. ჭიპაშვილი;

ავღანეთის მხრივ — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. მ. ზერაი, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი ა. რათებზადი, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. მ. დოსტი, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მ. რაფი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში მ. ს. დამეშკი. (საქინფორმი).

ბაბრაქ ქარმალი საქართველოში

ეცნობიან თბილისს

ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ბ. ქარმალი 21 ოქტომბერს კვლავ ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ყოფაცხოვრებას.

ამხანაგი ბ. ქარმალი გულთბილად მიიღო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის კოლექტივმა.

სტუმარს გააცნეს საწარმოს საქმიანობა, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების ორგანიზაცია. ბაბრაქ ქარმალი დაინტერესდა წარმოების ტექნოლოგიით, დაათვალიერა მთელი რიგი საამქროები. ახსნა-განმარტებას იძლეოდა გაერთიანების გენერალური დირექტორი ო. გვახარია.

შემდეგ ბ. ქარმალი და საბჭოთა კავშირში მასთან ერთად ჩამოსული ავღანეთის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი ესტუმრნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, დაათვალიერეს მისი სასწავლო მეურნეობა.

ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი ვ. მეტრეველი მიესალმა სტუმრებს და თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ავღანელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მან თქვა, თუ რა წვლილი შეაქვს ინსტიტუტს, რომელმაც ახლახან არსებობის 50 წლისთავი აღნიშნა, სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და წარმოების განვითარებაში.

ბ. ქარმალი გაეცნო სასწავლო პროცესს, იმას თუ როგორ მუშაობს ინსტიტუტის საცდელი სასწავლო მეურნეობა და თქვა: „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის გამოცდილება, რომელიც თქვენს რესპუბლიკაში დაგროვდა, დიდად საინტერესოა ავღანეთისათვის“.

იმავე დღეს ბ. ქარმალი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპოზიციებს.

ბ. ქარმალმა დაათვალიერა თელეთის მეცხოველეობის კომბლექსი.

საპატიო სტუმარი და მისი თანმხლები პირნი ეწვივნენ კომკავშირული და პიონერული მუშაკების მომზადებისა და გადამზადების რესპუბლიკური ცენტრს — კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს.

მეგობრები გამოცდილებას უზიარებენ

20 ოქტომბერს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა უნგრეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეების“ გახსნას.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ საგანგებო სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ოყროშიძემ.

დამსწრეთ მიესალმნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია და უნგრეთის სავაჭრო პალატის გენერალური მდივანი შ. ფიულეპი.

უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარების გზების, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური კავშირურთიერთობის ჩამოყალიბებისა და წარმოების სხვადასხვა დარგში ქვეყნის მიღწევების შესახებ მოხსენება გააკეთა უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის მინისტრმა ი. შოლტესმა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ, რომელიც სოციალისტური ინტეგრაციის გზას ადგას, დიდ წარმატებებს მიაღწია ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ამით მნიშვნელოვან წილად აიხსნება ის დიდი ინტერესი უნგრეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეებისადმი, რომელსაც იჩენენ საქართველოს მეცნიერები, სპეციალისტები და საზოგადოებრიობა. უნგრელი მეგობრების გამოცდილება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს მათ წინაშე მდგომი სახალხო სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში. გამოსულები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ უნგრეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეები თბილისში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

უნგრეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეების გახსნას ესწრებოდნენ სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ა. პალდი, საელჩოს პირველი მდივანი ფ. მარტინი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სამდივნოს სამმართველოს უფროსი ი. ბენკე, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ფედერაციის გენერალური მდივანი ი. კადარი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული რ. ელიგულაშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდია, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე და სხვები.

დასასრულ უჩვენეს კინოფილმი, რომელიც ასახავდა უნგრეთის დღეგანდელობას.

იმავე დღეს უნგრეთის დელეგაციამ გამართა დარბაზობა თბილისში „უნგრეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეების“ გახსნის გამო.

თბილისში გაიხსნა ეკონომიკისა და ტექნიკის დღეები

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

21 ოქტომბერს უნგრეთის დელეგაცია, რომელსაც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის მინისტრი ი. შოლტესი მეთაურობს, მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვ. ვადაჭკორიამ.

საუბრის დროს ამხ. ვადაჭკორიამ უნგრელ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის მრეწველობის ორგანიზაცია, უამბო, თუ როგორ სრულებენ საქართველოს მშრომელები მეთე ხუთწლედის დამთავრებული წლის გეგმებს, როგორ ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ი. შოლტესმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და რწმენა გამოთქვა, რომ „უნგრეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეები“ თბილისში ხელს შეუწყობს უნგრელი და ქართველი ხალხების შემდგომ დაახლოებას, მათი თანამშრომლობის გაფართოებას.

მიღებას ესწრებოდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ა. პალდი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ფედერაციის მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის მინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე დ. სილადი, თბილისში „უნგრეთის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეების“ დირექტორი მ. შალომონი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ი. ანდრიაძე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ოყროშიძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უცხოეთთან ურთიერთობის კომისიის პასუხისმგებელი მდივანი გ. ცალქალამანიძე. (საქინფორმი).

ანსამბლის დამსახურების აღიარება

მთელი თვის განმავლობაში ამიერკავკასიაში წარმატებით მართავდა გასტროლებს საბჭოთა არმიის ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის ორგზის წითელდროშოვანი სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი. მეომართა სახელგანთქმულმა შემოქმედებითმა კოლექტივმა მსმენელებს გააცნო საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, ხალხური მელოდიები, ქოროგრაფიული დადგმები. პოპულარული ანსამბლი, სადაც უნდა გამოსულიყო, ატყვევებდა მსმენელებს, ახარებდა მთავრობულ ხელოვნებასთან შეხვედრით, რომელიც გამსჭვალულია მოქალაქეობრიობისა და პატრიოტიზმის, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების მაღალი გრძნობით.

21 ოქტომბერს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბში შეხვედრა მოუწყვეს ანსამბლის მსახიობთა ჯგუფსა და სამხატვრო ხელმძღვანელს — სოციალისტური შრომის გმირს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს ბ. ალექსანდროვს. მათ გულთბილად მიესალმა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი პოლიტსამმართველოს უფროსი ა. შირინკინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ ანსამბლის ხელმძღვანელს ბ. ალექსანდროვს გადასცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპასიანო სიგელები, რომლითაც დაჯილდოვდნენ ანსამბლის კოლექტივი და მისი ხელმძღვანელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვ. სირაძემ მსახიობებს გულთბილად მიულოცა მაღალი ჯილდო.

ბ. ალექსანდროვმა ჯილდოების მიღებისას კოლექტივის სახელით დაპირადად ულრმესი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და რესპუბლიკის მთავრობას მათი შემოქმედების ასეთი მაღალი შეფასებისათვის.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის ოფიცერმა ვ. ვორჩაკმა წაიკითხა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის ო. კულიშევის ბრძანება ბ. ალექსანდროვისა და მეომარმსახიობთა ჯგუფის სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

ჯილდოების გადაცემის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ვ. სალტიკოვი და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის უფროსი ვ. კირილიუკი. (საქინფორმი).

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

სტარტზეა მეხუთე აგრეგატი

ენგურჰესის მშენებლობის პოლიგონებზე უნვეული გამოცოცხლებაა. მშენებელ-მემონტაჟეები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მოუღელად შრომობენ— ძალური კვანძის მიწისქვეშა, რიგით ბოლო, მეხუთე აგრეგატი დამუშავებულ დროზე, ორი თვით ადრე —31 ოქტომბრამდე უნდა გადაეცეს საექსპლუატაციოდ.

ბევრი სიძნელეები გადალახეს ამ უნიკალური აგრეგატის მშენებელ-მემონტაჟეებმა. ისინი დღედაღამ შრომობდნენ, რომ სიტყვა არ გაეტეხათ. საქმე ის არის, რომ ხარკოვის ტურბინების ქარხანამ ენგურჰესელთა შეკვეთის შესრულება დროულად ვერ უზრუნველყო. დაგვიანებით მოვიდა აგრეგატის მუმა თვალი და ღერძი. მაგრამ მონდომებამ და საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობამ მაინც გაიმარჯვა. ძირითადად დამთავრდა უკანასკნელი სამონტაჟო და ელექტრო ჩართვის სამუშაოები. ამ-ამად აგრეგატის საბოლოოდ წესრიგში მოსაყვანად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს: მოწმდება მართვის ავტომატური ხაზები, სისტემები. 21 ოქტომბერს აგრეგატი უქმ ბრუნვაზე ამოქმედდა. მიმდინარეობს გამოცდა და მომზადება მისი სამრეწველო დატვირთვაზე დასაყენებლად.

სსრ კავშირის მთავარი ჰიდროენერგომშენებლობის კავკასიის „სპეციჰიდროენერგომონტაჟის“ ენგურის უბნის (უფროსი —კონსტანტინე რატნიკოვი) კოლექტივს ჰიდროტურბინების დამონტაჟების მდიდარი გამოცდილება აქვს. მათ ხომ ამჟამად მოქმედი ოთხი ჰიდროაგრეგატი „ფრიადი“ შეფასებით დაამონტაჟეს. ამუშავების დღიდან მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის აღნიშნულმა ოთხმა აგრეგატმა ქვეყნის სახალხო მეურნეობას დღემდე 4 მილიარდ 300 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია მისცა. მათივე ხელით დამონტაჟდა მეხუთე აგრეგატიც, რომელიც 1500 ტონას იწონის. ელექტროჩართვის სამუშაოებზე კი ჯარგად იმუშავა ამიერკავკასიის „ჰიდროელექტრომონტაჟის“ ტრესტის იმ ბრიგადამ, რომელსაც სამუშაოთა მწარმოებელი კარიუმ ოთარიანი ხელმძღვანელობს.

„გოელროს“ გეგმით აშენებულ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს ამიერიდან 35-ჯერ გაუსწრეს სიმძლავრით ენგურჰესი. კასკადის საერთო სიმძლავრე მილიონ 300 ათას კილოვატს მიაღწევს.

გ. ნოდია.

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

რთველი—80

ვალდებულება შესრულებულია!

მოკრეფილია ტონობით ყურძენი:

ზესტაფონში 32.574

მ. ასლანიკაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

ზესტაფონელმა მევენახეებმა თელავში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე ვალდებულება იკისრეს წელს სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 30.000 ტონა ყურძენი და სპპატიო წვლილი შეეტანათ საქართველოს მეზვრეთა ვალდებულებების შესრულებაში. ამით მეორე მიზანსაც ვისახავდით— გადამეტებით შეგვესრულებინა ხუთწლიანი გეგმა.

რესპუბლიკური თათბირის შემდეგ განვლილ პერიოდში ჩვენმა მევენახეებმა ზვრებს, ყოველ ვაზს მართლაც შვილივით უპატრონეს და ამ დალოცვილმა მცენარემაც ამაგი ერთთორად აანაზღაურა.

რთველის წინ ჩვენ გულდასმით დავათვალიერეთ როგორც საზოგადოებრივი მეურნეობების, ისე საკარმიდამო ვენახები და დავრწმუნდით, რომ პარტიისა და ქვეყნისათვის მიცემულ სიტყვას შევასრულებდით. ახლა მთავარი იყო რთვლის ორგანიზებულად, მოკლე დროში დამთავრება.

მევენახეთა ყოველდღიური გარჯის შედეგად ყურძენი დროზე იკრიფება. გუშინწინ კი დიდი გადამეტებით შესრულდა ნაკისრი ვალდებულება, სახელმწიფო მარანში ნაცვლად 30.000 ტონისა მიტანილია 32.574 ტონა ყურძენი. ეს ჩვენი მეზვრეების საყრილობო საჩუქარია, რისთვისაც მათ დიდი მადლობა დაიმსახურეს.

ყურძნის უხვი მოსავალის მიღების საქმეში თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს ფუთის, კლდეეთის, ალავერდის კოლმეურნეობებმა (თავმჯდომარეები —ც. გელაშვილი, ა. ჭანკვეტაძე, ჯ. ბარბაქაძე), არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და პირველი სვირის სანერგე მეურნეობის (დირექტორები — ქ. ზარნაძე და გ. თუთთარაშვილი) მევენახეებმა.

რთველი გრძელდება, მარნებში ვალდებულების გადამეტებით კიდევ მივიტანთ ყურძენს.

თერჯოლაში 27.636

ა. ბურჯანაძე,
საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი.

თერჯოლელებმა ყურძნის დამზადების ხუთწლიანი დავალება რთვლის დაწყებიდან რამდენიმე დღეში შეასრულეს. ამის შემდეგ ბრძოლა დავიწყეთ წლეულს ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

რთველში ჩვენმა მშრომელებმა— სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ნამდვილად მაღალორგანიზებულობა გამოიჩინეს და მოკლე დროში ვალდებულებით ნაკისრი და ეს 25.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივიყიდეთ 27.636 ტონა ყურძენი. ხუთწლიანი გეგმის (95.000 ტონა) გადამეტებით მოკრეფილია 19 ათას ტონამდე ყურძენი.

ყურძნის უხვი მოსავალი მოიწიეს და დავალებები გადამეტებით შეასრულეს ალისუბნისა, თუზსისა და ეწერის კოლმეურნეობების (თავმჯდომარეები— მ. გიორგაძე, ვ. ღავთაძე, გ. ვერულაშვილი), თერჯოლის სანერგე მეურნეობისა და რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორები —ჯ. ზარნაძე და მ. ვერულაშვილი).

ზოგიერთ სოფელში რთველი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

წყალტუბოში 4.221

წყალტუბოს რაიონის მევენახეებმა ფართოდ გააჩაღეს საყირლობო სოციალისტური შეჯიბრება და რთვლის ორგანიზებულად წარმართვის გზით ახალ წარმატებას მიაღწიეს, გადამეტებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის მეხუთე წლის დავალება, ნაცვლად 4.000 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.221 ტონა ყურძენი.

რთველი გრძელდება.

ცხაკაიაში 1.522

რაიონის მევენახეებმა წარმატებას მიაღწიეს და რთვლის დამთავრებამდე ვადაზე ადრე შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალება, ნაცვლად 5. 180 ტონისა დამზადებულია 5.880 ტონა ყურძენი. წელს ნაცვლად 1.200 ტონისა დამზადდა 1.522 ტონა.

რთველი გრძელდება.

სულ საქართველოში 21 ოქტომბრისათვის მოკრეფილია 768.698 ტონა ყურძენი. დღეს სახელოვანი მეზვრეები დალაშქრავენ სასურველ მიჯნას!

საერთაშორისო ცხოვრება

დღეს მსოფლიოს ჭიშკრებზე

საკლესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო უშიშროებისათვის

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ბევრი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები ფართო კომენტარს უძღვნიან საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს, ამ მოლაპარაკების შემდეგ ხელმოწერილ განცხადებას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა და ავღანეთმა დაადასტურეს თავიანთი მტკიცე ერთგულება მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმისადმი, ცხადყვეს შეხედულებათა სრული ერთიანობა და ურყევი გადაწყვეტილება — კვლავაც განამტკიცონ და გააღრმაონ ორი ქვეყნის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა.

სსრ კავშირსა და ავღანეთს, აღნიშნულია ჟაბულის რადიოს კომენტარში, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წინააღუდგეს იმპერიალიზმის აგრესიულ მისწრაფებებს, კვლავაც ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ და განვითარონ თავიანთი ურთიერთობა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1978 წლის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, ძმური მეგობრობის, რევოლუციური სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. ავღანეთისადმი საბჭოთა კავშირის დახმარებას აქვს მხოლოდ ერთი მიზანი: ავღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციისა და ავღანეთის საქმეებში ყოველგვარი იმპერიალისტური ჩარევის შეწყვეტა.

საბჭოთა კავშირი და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, იცავენ რა მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს, მოუწოდებენ გამორიცხოს ომი როგორც სახელმწიფოებს შორის დავის გადაჭრის საშუალება, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). მოსკოვში გამართული მოლაპარაკების მსვლელობაში მათ საჭიროდ მიიჩნიეს, კერძოდ, ის, რომ ერაყმა და ირანმა შეწყვეტონ საომარი მოქმედება და მოლაპარაკების გზით გარედან ჩაურევლად, ურთიერთმისაღებ საფუძველზე მოაწესრიგონ ერთმანეთს შორის სადავო საკითხები.

მოსკოვმაც, ქაბულმაც მხარი დაუჭირეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის გარშემო შექმნილი სიტუაციის პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას, აღნიშნავს მოსკოვიდან გაგზავნილ ცნობაში ინგლისის რეიტერის საინფორმაციო სააგენტო. ასეთი მოწესრიგების გზაა, მათი აზრით, გარედან ინტერვენციის ეფექტიანი შეწყვეტა, ავღანეთისა და მისი მეზობლების მთავრობებს შორის შესაბამის შეთანხმებათა მიღწევა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1980 წლის 14 მაისის წინადადებათა საფუძველზე.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბაღდადი, 21 ოქტომბერი. ერაყისა და ირანის ჯარებს შორის მიმდინარეობს ბრძოლები ირანის ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრის — ქალაქ აბადანისათვის. ერაყის ავიაციამ ეცემა ცხელი დაუშინა მოწინააღმდეგის სატანკო კოლონებსა და მისი ჯარების თავმოყრის ადგილებს. იუწყებიან, რომ ორივე მხარემ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი განიცადა. იმავე დღეს ირანის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბაღდადს, აგრეთვე სულეიმანიისა და ვასიტის პროვინციების დასახლებულ პუნქტებს.

როგორც ერაყის საინფორმაციო საგანგებო იუწყება, ერაყი გაანგარიშობს საომარი მოქმედების შედეგად ჰორამშეჰრის ნავსადგურში ბლოკირებული უცხოელთის სავაჭრო გემების ბასრის ნავსადგურში გაყვანას.

თეირანი. როგორც თეირანის რადიო იუწყება, ერაყი თავს უყრის ჯარებს აბადანის შემოგარენში ქალაქის ახალი შტურმისათვის. ჰორამშეჰრში არ წყდება ქუჩის ბრძოლები. ირანელებმა მოიგერიეს ამ ქალაქში ერაყის ტანკების შეტრის ცდები. ფრონტის ჩრდილოეთ უბნებზე ირანელებმა უკან დაახვევინეს ერაყელებს. საჰაერო თავდაცვის საშუალებებმა მოიგერიეს ერაყის ავიაციის თავდასხმები ჰარკის ნახევარკუნძულზე განლაგებულ ნავთობჩასატვირთ ნაგებობებზე. შატ-ელ-არაბის ფაოს ნავსადგურში ჩაძირეს ერაყის სამხედრო ხომალდი.

აიათოლა ხომეინიმ მოუწოდა ირანის მოსახლეობას მზად იყოს საყოველთაო მობილიზაციისათვის, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის დაცვის ინტერესები. ირანის პრეზიდენტმა ა. ბანისადრმა ჰუზესტანის პროვინციის ერთ-ერთ ქალაქში მოლაპარაკება გამართა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრ ი. მალმიერკასთან. მან მიიღო აგრეთვე ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰ. შატი, რომელიც წინათ სწვევია ბაღდადს.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ირანი ყოველ ღონეს იხმარს ომუზის სრუტეში თავისუფალი და უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფისათვის. მან უარყო ცნობა, თითქოს ირანის პრემიერ-მინისტრს რაჯაის ნიუ-იორკში ყოფნის დროს კონტაქტი ჰქონოდეს ამერიკის ოფიციალურ პირებთან და მათთან ერთად განეხილოს ამერიკელ მძევალთა საკითხი.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

მარად ჩვენი თანამედროვე

დავით გურამიშვილის საიუბილეო საღამო კავშირების წარლის სვეტებიან დარბაზში

ეკლიანი გზით ატარა ბედმა მშობლიურ საქართველოს მოშორებული დავით გურამიშვილი შორეული რუსეთის უკიდეგანო სივრცეებით უკრაინამდე, რომელმაც მას თავშესაფარი მისცა და სამუდამოდ მიიბარა ბრძენი მოხუცი.

და აი, 275 წლის შემდეგ პოეტმა კვლავ განვლო ეს გზა. ამჯერად როგორც იუბილარმა, როგორც სამი ხალხის სიამაყემ, რომლებიც ბედმა ღვიძლ ძმებად აქცია. დავით გურამიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ხარბად დაეწაფა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის უშრეტ წყაროს, გახდა მისი დიდი მეხოტბე.

თბილისში, სოჩოში, კიევში, პოლტავის ოლქში, მოსკოვში, ყველგან, სადაც კი საიუბილეო დღესასწაულები გაიმართა, პოეტის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად მიიჩნიეს სწორედ ის, რომ მისმა ლირამ დაამოყვრა და დამეგობრა სამი მომძე ხალხი.

ამის საუკეთესო დადასტურება იყო დავით გურამიშვილის პატივსაცემად გაკაშკაშებული კავშირების სახლის სეტყვებიანი დარბაზი, რათა კიდევ ერთხელ ეიუწყებინა ყველასთვის — უკვდავი ადამიანი, რომელიც მთელ თავის ოცნებებსა და სამშეებს მოუძღვნის ხალხს, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლას.

საიუბილეო საღამო გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ა. სურკოვმა:

„დღეს, თქვა მან, დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, კვლავ შეგვერება აქ. ჩვენ მოვედით იმისათვის, რათა პატივი მივაგოთ იმ ადამიანის ხსოვნას, რომლის სახელი სამუდამოდ არის ჩაწერილი მისი მშობლიური ხალხის ისტორიაში, ხალხისა, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა ლიტერატურის სახელოვან ოსტატთა პლეადა. ამ ხალხის ლიტერატურის ამშვენებს გენიალური „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის უკვდავი სახელი.

თუ „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა ფეოდალური საქართველოს აყვავების ხანაში, „დავითიანის“ ავტორის ცხოვრება და შემოქმედება მოდის მისი სამშობლოს ისტორიის უმძიმეს წლებზე, როცა იგი გმინავდა უცხოელ დამპყრობთა უღელქვეშ, სისხლისგან იცლებოდა ძმათამკვლელ ომებში. მშობლიურ მიწა-წყალს ძალად მოგლეჯილმა მომავალმა პოეტმა განვლო სიმწრითა და გაჭირვებით აღსავსე ცხოვრება. რუსეთსა და უკრაინაში მან მეორე სამშობლოო ჰპოვა, მაგრამ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგული დარჩა თავისი მრავალტანჯული ქვეყნისა, გულით ატარებდა გაუნელებელ ტკივილს.

ჩვენს დიად გამარჯვებათა ხანაში მოძმე საქართველოს დიდი შვილის დაბადების სამახსოვრო თარიღს, ქართველებთან ერთად აღნიშნავენ რუსები, უკრაინელები და ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვა ხალხები როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების დიდ და სასიხარულო დღესასწაულს.

სიტყვა დავით გურამიშვილზე წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ. შესანიშნავმა მხატვარმა-მართლაც-მოქმედმა, მე-18 საუკუნის საქართველოს გამოჩენილმა პოეტმა, ეროვნული ლექსის დიდმა რეფორმატორმა დავით გურამიშვილმა, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში, თქვა მან, მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზია ახალ საფეხურზე აიყვანა, ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა ხალხურობის ახალი, უფრო ღრმა და პროგრესული გაგება. ეს იყო მძლავრი გონების, მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი.

ქართველი ხალხის სახელით ორატორმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა შმობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომლებიც ასე დაუცხრომლად ზრუნავენ მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის, კულტურისა, რომელიც ესოდენ მრავალფეროვანია თავისი მხატვრული გამოვლინებით და ესოდენ ერთიანია თავისი პროგრესული ჰუმანისტიური და ინტერნაციონალისტიური შემოქმედებითი პრინციპებით, მთელი კაცობრობის სიკეთის რომ ისახავენ მიზნად.

საბჭოთა ეპოქამ, თქვა შემდეგ ორატორმა, განადიდა ქართველი პოეტის სახელი. მის ნაწარმოებები გამოცემულია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მრავალ ენაზე, საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის ენებზე.

გულთბილად და გულითადად გაისმა საღამოზე თვალსაჩინო უკრაინელი პოეტის ვ. ა. კოროტჩენისა და უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ფ. ტ. მორგუნის სიტყვები.

საღამოს მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საუბარი ზაქარიას ველზე, რომელიც პოლტავის ოლქის კოტელოვის რაიონის ყოფნოვის სახელობის კოლმეურნეობაშია. უკრაინის ველ-მინდვრები არ ივიწყებენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტზმს. 1941 წლის ოქტომბერში აქ ჩამოვარდა ფაშისტური მესერშმიტის მიერ დაზიანებული ჩვენი „ილი“. მძიმედ დაჭრილი ზაქარია ხითარიშვილი პოლტაველმა კოლმეურნეებმა გადაარჩინეს. სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებთ მათ უმკურნალეს მფრინავს, და იგი კვლავ თვითმფრინავის საჭეს მიუჯდა და გაანადგურა მტრის ბევრი თვითმფრინავი. იგი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

ქართველი ხალხის დიდი შვილის დავით გურამიშვილისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობით ილაპარაკეს საღამოზე თვალსაჩინო სომეზმა მწერალმა რ. კ. ოვანესიანმა და ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო პოეტმა ყ.შ. ყულიევმა.

ᲬᲘᲜᲬᲧᲐᲠᲝᲡ გავცდით, თეთრიწყაროც გავიარეთ და სამშვილდეს მიწაზე დავდგით ფეხი.

„წინწყარო ჩამოვიარე“... — დაიბუბუნა ქართულმა ხმატკბილმა სიმღერამ სამშვილდეს სიონის ნანგრევებში. სახელმწიფო ფილარმონიის მომღერალთა ხმა შემდეგ ძველი ციხე-ქალაქის კედლებსაც მისწვდა.

გალავნის თავზე ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მეციხოვნენი და ტურფა ასულები დგანან.

დღეს აქ, ამ უძველეს ქართულ მიწაზე, რომლის თითოეული მტკაველი წინაპრთა სისხლით არის გაჟღენთილი, დიდი სახალხო ზეიმია — „სამშვილდეობა“. ასეთი სახალხო დღესასწაული აქ მეორედ ეწყობა. მისი ინიციატორია საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო (დირექტორი — ი. ფაალოძე), რომელსაც მხარში ამოუდგნენ საქართველოს კომპარტიის თეთრიწყაროს რაიკომი და ალმასკომი, კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო და ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

სამშვილდეში ყოველი ქვა ისტორიაა. ხავსი მოდებია ყორეებს, ჩაჟანგებულა ბებერი კაკლები, ხრამი და ჭიეკავი კი კვლავ ძველებურად ხმაურობს, რათა ძილის, თვალის მოხუქვის საშუალება არ მისცეს უძველეს ციხე-ქალაქს.

აქაურ კულტურის ძეგლთა კომპლექსი საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს მდინარე ხრამისა (ქციის) და ჭიეკავის შექმნილ ნახევარკუნძულზე. აქ თითქმის ორ ათეულ ძეგლს მოუყრია თავი, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნება. მათ შორის ყველაზე ძველია ღვთისმშობლის მძინების დარბაზეული ეკლესიაში მოთავსებული მენპირი, რომელიც ჩვენ წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულითაა დათარიღებული და ამავე პერიოდის ტერაკოტი, ხოლო ყველაზე „ახალი“— მეთვრამეტე საუკუნის კარიბჭიანი კოშკი.

მართალია, სამშვილდის სიონის (აგებულია 759-777 წწ), მხოლოდ ნახგრევებია შემონახული, მაგრამ ნათლად იგრძნობა მისი მონუმენტურობა და არქიტექტურული დახვეწილობა. იგი ბაკურ ვარაზს აუშენებია და თანაც იმ დროს, როდესაც თბილისში არაბთა ემირები ბატონობდნენ.

განსაკუთრებით მრავლადაა X-XII საუკუნეების ძეგლები. მეათე საუკუნეშია აშენებული წმინდა გიორგის დარბაზეული ეკლესია (შეკეთებულია 1672 წელს), XII-XIII საუკუნეებშია აგებული დარბაზეული ეკლესია „თეოგენესი“, X-XIII საუკუნეებში — წყალსაცავი აუზები, XII საუკუნეში ზვრილ აბსიდიანი დარბაზეული ეკლესია, X-XI საუკუნეებს განეკუთვნება სამნავიანი ბაზილიკა.

შემონახულია აგრეთვე განვითარებული ფეოდალური ხანის ფეოდალთა სასახლეების და საცხოვრებელი სახლების ფრაგმენტები, აბანოების, XVI-XVIII საუკუნეებში აგებული ჩრდილოეთისა და სამხრეთის სასახლეების ნაშთები.

— სამშვილდეზე ჩვენი ბიურო შეფობს, — გვითხრა კვების მრეწველობის სამინისტროს მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში ილია ფერაძემ. — 1978 წელს ჩვენი ინსტიტუტის თხოვნით ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ სწორედ სამშვილდეს კომპლექსი გადმოგვცა ოთრებული ყურადღებით ეკიდება ბიუროს დირექტორი ირაკლი ფაილოძე. აღნიშნის ღირსნი არიან ცირა ღვინაძე და ლალი ლაბაძე, ირმა გურგენიძე და, რა თქმა უნდა, ილია ფერაძე — ამ საქმის უმთავრესი მოთავე კაცი. შეფებთან ერთად ძეგლის მოვლა-პატრონობისათვის ძალ-ღონეს არ იშურებს საქართველოს კომპარტიის თეთრიწყაროს რაიკომი.

...პირველი საათია, ხალხს ძველი ციხის წინ მოუყრია თავი. მიტინგს ხსნის საქართველოს კომპარტიის თეთრიწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ბედუკაძე. სიტყვებით ჯამოდიან საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე, კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ციცოშვილი, ადგილობრივი მშრომელები და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები. გაიმართა კონცერტი, რომელშიაც რაიონის თვითმოქმედ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლი (სმხატვრო ხელმძღვანელი — კომპოზიტორი ვახტანგ ჭულუხიძე).

მიტინგის შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ პროფესორ ირაკლი ციცოშვილსა და რუსთაველის პრემიის ლაურეატს, მწერალ რევაზ ინანიშვილს.

აი რა გვითხრეს მათ:

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲪᲘᲪᲝᲨᲕᲘᲚᲘ: „ბოლო ასეული ნაბიჯი ... ...